Robo Battle-პროექტის გზამკვლევი

1. **ყველაფერი, რაც დაგჭირდება მონაწილეობისთვის**
2. **გუნდის რეგისტრაცია და წესები**
3. **რეგისტრაციის ეტაპები**
4. **რობოტის აწყობის რეგულაციები**
5. **ფორმატი**

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რობოტების ბრძოლაზე-Robo Battle 2025!

Robo Battle 2025 არ არის უბრალოდ შეჯიბრი — ეს არის ადგილი, სადაც შენს ტექნოლოგიურ ოცნებებს ფარი აღარ სჭირდება.შენი **ფანტაზია, ტექნიკური აზროვნება და გამბედაობა** სწორედ ის ძალებია, რომლებიც Robo Battle 2025-ს დაუვიწყარ მოვლენად აქცევს — როგორც მონაწილეებისთვის, ასევე მაყურებლებისთვის. ბოლოს და ბოლოს, **ამ შოუს შენ ქმნი** — შენი რობოტი იქნება მთავარი გმირი!

თუ აქ ხარ, ეს ნიშნავს, რომ შენც ხარ იმ გაბედული ადამიანების შორის, ვისაც უყვარს ტექნოლოგიები, შემოქმედება, გაბედული გადაწყვეტილებები და შანსების გამოყენება.ეს გზამკვლევი სწორედ შენთვისაა შექმნილი — გაგაცნობს წესებს, აგიხსნის ფორმატს და დაგეხმარება საუკეთესო სტარტისთვის მოემზადო. იმედია გზამკვლევი შენს ყველა კითხვას გასცემს პასუხს და შეგამზადებს სხვადახვა დაბრკოლებისთვის…

ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, გაიარეთ პირველი ეტაპის მარტივი სარეგისტარციო ფორმა 15 მაისის ჩათვლით და შემოგვიერთდით-https://forms.gle/sHiU4PreHim7iDDa8

წინ გელით ბრძოლა, ინჟინერიის დღესასწაული და დაუვიწყარი გამოცდილება.
მზად ხარ, რომ შენი რობოტი არენაზე გავიდეს? ჩვენ გელოდებით.

გთხოვთ გადახედოთ ყველა ჩამოთვლილ წესს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ რობოტის აწყობის წესებს!

1. ყველაფერი, რაც დაგჭირდება მონაწილეობისთვის

საქართველოს რობოტიკის ასოციაციის (GRA) ორგანიზებით 2025 წლის 13 ივლის გაიმართება რობოტების ბრძოლა-Robo Battle, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ შექმნან დისტანციურად მართვადი რობოტები, სხვადასხვა წონითი კატეგორიისთვის და მიიღონ მონაწილეობა ერთდღიან შეჯიბრში.

რობოტების ბრძოლის მიზანია მთელი საქართველოს მასშტაბით გააერთიანოს ინოვატორები, ინჟინრები, ტექნოლოგიებითა და რობოტიკით დაინტერესებული პირები, რომლებიც საკუთარი

დიზიანით შექმნიან ბრძოლისთვის მზად რობოტებს და შეერკინებიან გუნდებს სხვადასხვა წონით კატეგორიაში.

რობოტების ბრძოლა გაიმართება 3 განსხვავებულ წონით კატეგორიაში, ესენია:

- 0,5 კილოგრამიდან 1,5 კილოგრამამდე წონითი კატეგორია - **"beetleweight"**
- 1,5 კილოგრამიდან 5 კილოგრამამდე წონითი კატეგორია - **"hobbyweight"**
- 5 კილოგრამიდან 15 კილოგრამამდე წონითი კატეგორია - **"Featherweight"**

შესაძლებელია გუნდმა ერთზე მეტ წონით კატეგორიაში მიიღოს მონაწილეობა, შესაბამისი წესების დაცვით. დაინტერესების შემთხვევაში ბრძოლაში ჩართვა შეგიძლიათ გუნდურად. კონკრეტული კატეგორიის შერჩევის შემდეგ მოგიწევთ საკუთარი რესურსებით რობოტის აწყობა, გამართვა, საბოლოო ბრძოლისთვის მომზადება.

ღონისძიება შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს გამოავლინონ ცოდნა შემდეგ მიმართულებებში:

- **ინჟინერია და მექანიკური სისტემების განვითარება**
- **რობოტის სტრატეგიული მართვის მოდელები და საბრძოლო ლოგიკა**
- **დიზაინი და კრეატიულობა ტექნოლოგიაში**
- **ელექტრონიკა, ენერგიის ოპტიმიზაცია და დისტანციური მართვა**

მონაწილე გუნდებს ექნებათ შესაბამისი წესების დაცვით შესაძლებლობა, შექმნან უნიკალური, ფუნქციური და საბრძოლო რობოტები — მათ შეუძლიათ აირჩიონ სასურველი წონითი კატეგორია, მასალები და საბრძოლო ტაქტიკა.

საბრძოლო რობოტები შესაძლოა დამზადებული იყოს სხვადსხვა მასალისგან როგორიცაა მეტალი, პლასტმასი, რეზინა და ა.შ მთავარი მიზანია, რომ რობოტი აღჭურვილი იყოს და ჯდებოდეს შესაბის წონით კატეგორიაში, რომელშიც იბრძვის.**(გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ [რობოტის აწყობის წესებს](#)**) ამიტომ მონაწილე გუნდებს შეუძლიათ იფიქრონ რობოტი აღჭურვონ სხვადასხვა დამატებითი იარაღით, დამცავი სისტემებით, რაც გაამარტივებს ბროძილსა და გადარჩენის პროცესს.

2. გუნდის რეგისტრაცია და წესები

რობოტების ბრძოლაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ 16 წელს ზემოთ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს: სტუდენტებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, ანტერპრენერებს, ინოვატორებსა და ნებისმიერს ადამიანს, რომელსაც აქვს სურვილი და სწრაფვა შექმნას საკუთარი ინოვაციური რობოტი და მონაწილეობა მიიღოს ბრძოლაში.

ბრძოლაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია გუნდთან ერთად. ჯგუფის წევრების მინიმალური რაოდენობა 2, მაქსიმალური კი 5 პირია. (იმ შემთხვევაში თუ გუნდში მონაწილე პირი არის არასრულწლოვანი, აუცილებელია გუნდში ჰყავდეს მინიმუმ ერთი სრულწლოვანი, 18+ მონაწილე პირი).**იმ შემთხვევაში თუ გუნდის რომელიმე წევრი არის არასრულწლოვანი, საჭიროა მშობლს თანხმობის ფორმა.**

გუნდის წევრები პასუხისმგებლები იქნებიან საკუთარი რესურსებით შექმნან საბრძოლო რობოტი და მოემზადონ ფინალური დღისთვის. შესაძლებელია გუნდმა ერთზე მეტ წონით კატეგორიაში მიიღოს მონაწილეობა, შესაბამისი წესების დაცვით.

ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, გაიარეთ პირველი ეტაპის მარტივი სარეგისტარციო ფორმა 15 მაისის ჩათვლით და შემოგვიერთდით-https://forms.gle/sHiU4PreHim7iDDa8

3. რეგისტრაციის ეტაპები

გუნდების შერჩევა მოხდება 2 ეტაპად:

I ეტაპზე საჭირო იქნება მარტივი განაცხადის ფორმის შევსება, რომლის საფუძველზეც მოხდება გუნდის პირების გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ფორმის შევსების შემდეგ ჩვენი გუნდისგან მონაწილეები მიიღებენ ავტომატურ შეტყობინებას რეგისტრაციის გავლასთან დაკავშირებით. რეგისტრაციის შემდეგ მოხდება შემოსული აპლიკაციების გადარჩევა და მეორე ეტაპზე გადასულ გუნდებს ეცნობებათ პასუხი მეილის მეშვეობით.

II ეტაპისთვის გუნდებს მოუწევთ შეიმუშაონ და წარადგინონ:

- რობოტის პროტოტიპის სკეჩი (ნახაზი)
- რობოტის ზუსტი ზომები, იმ კატეგორიისთვის, რომელშიც იღებენ მონაწილეობას
- მასალები, რომლითაც აწყობენ რობოტს
- მოკლე საინფორმაციო ვიდეო გუნდის შესახებ

მეორე ეტაპის შემდეგ მოხდება საბოლოო ეტაპისთვის გუნდების შერჩევა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება წარმოდგენილი რობოტის იდეის ინოვაციურობა, კრეატიულობა და საბრძოლო შესაძლებლობები. რობოტზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ ვინ მიიღებს ბრძოლაში მონაწილეობას, შესაბამისად შეფასდება გუნდის მიერ გამოგზავნილი ვიდეოც.აღნიშნულის შედეგად ასევე პარტნიორი ორგანიზაციებისგან შეირჩევიან რჩეული გუნდები, რომლებიც დაფინანსდებიან თავიანთ რობოტების ასაწყობად. **აღნიშნულ ნაწილში ყურადღება მიექცევა ასევე რობოტის ვიზუალურ მხარეს.** აღნიშნულის ფარგლებში შეფასდება რობოტის გარე ვიზუალური დიზაინი და მისი შემოქმედებითი გადაწყვეტა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი ასპექტები:დიზაინის ინოვაციურობა – რამდენად ორიგინალურია რობოტის ვიზუალური კონცეფცია და სტილიზაცია.

4. რობოტის აწყობის რეგულაციები

ფინალური ეტაპისთვის შერჩეული გუნდები საბოლოოდ შეერკინებიან ერთმანეთს მათ მიერ აწყობილი რობოტებით, შესაბამისი კატეგორიის წესებით დაცვით. ბრძოლის დასრულების შემდეგ ჟიურის მიერ საპრიზო ადგილების გამოვლენა.გუნდის წევრები პასუხისმგებლები იქნებიან საკუთარი რესურსებით შექმნან საბრძოლო რობოტი და მოემზადონ ფინალური დღისთვის, რომლებიც მთლიანად პასუხისმგებელნი იქნებიან მათ მიერ შექმნილ პროდუქტზე.

საბრძოლო რობოტების კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულტექნიკურ მოთხოვნებს და უსაფრთხოების სტანდარტებს. თითოეული გუნდი თავად არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ მათი რობოტი:

- ჯდებოდეს შერჩეული წონითი კატეგორიის ჩარჩოში (0.5 კგ – 15 კგ ფარგლებში)
- არ შეიცავდეს საშიშ, აკრძალულ მექანიზმებს (მაგ:, ქიმიური ნივთიერებები, მაღალი ძაბვა და ა.შ.)
- დაიცვას მასალის გამოყენების წესები — რაც აღრიცხულია ტექნიკურ სახელმძღვანელოში

ყველა რობოტი გაივლის წინასწარ ტექნიკურ შემოწმებას. ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, გუნდს შეიძლება უარი ეთქვას ბრძოლაში მონაწილეობაზე.

ნებისმიერ გაურკვეველ იარაღზე, ფუნქციაზე, რომელიც არ არის ჩამოთვლილ სიაში ან ეჭვი გეპარებათ, გთხოვთ გაიაროთ კონსულტაცია ორგანიზატორებთან. შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე ყველა შერჩეული გუნდის რობოტი გაივლის შემოწმებას საორგანიზაციო გუნდის მიერ, თუ რამდენად აკმაყოფილებს რობოტი ყველა ჩამოთვლილ კრიტერიუმს. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე რობოტი ვერ გაივლის შემოწმების ეტაპს, მიეცემათ მცირე დრო გამოსასწორებლად.

აუცილებლად გაეცანით დეტალურ [ინფორმაციას რობოტების აწყობის შესახებ!]
ჩვენი მიზანია, რომ ბრძოლა იყოს არა მხოლოდ შთამბეჭდავი, არამედ უსაფრთხოც — როგორც მონაწილეებისთვის, ისე მაყურებლებისთვის. ამიტომ შერჩეულ გუნდებს, აწყობის ეტაპიდან გასათვალისწინებელი ექნებათ ყველა მოცემული მითითება.

5. ფორმატი

Robo Battle 2025 ერთდღიანი, ენერგიით სავსე ღონისძიებაა, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიებით გატაცებულ ადამიანებს მთელი საქართველოდან.
ღონისძიების მთავარი ნაწილი არის საბრძოლო რობოტების შეჯიბრი, სადაც ფინალში გასული გუნდები საკუთარ რობოტებს რეალურ ბრძოლაში გამოსცდიან. გარდა მონაწილე გუნდებისა, ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი და ღია იქნება ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის! დამსწრე საზოგადოებისთვის სარეგისტრაციო ბმული მოგვაინებით გამოქვეყნდება. ბრძოლის არენასთან მოეწყობა ინტერაქტიული ტექნოლოგიური ზონა, სადაც დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ გაეცნონ სამომავლო ტექნოლოგიებს, სივრცეში განთავსებული იქნება გამოფენები და დემო-პრეზენტაციები, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც მონაწილე გუნდების ნამუშევრები, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ინოვაციური პროდუქტები.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წესები შესაძლოა შეიცვალოს. ყველა ცვლილება აისახება განახლებულ დოკუმენტში, შესაბამისად, მონაწილეებს ვთხოვთ რეგულარულად გადაამოწმონ წესები. თქვენი პასუხისმგებლობაა, გაეცნოთ, გაიგოთ და დაიცვათ ყველა წესი. ორგანიზატორს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებით, მოხსნას გუნდი შეჯიბრიდან წესების დარღვევის ან უსაფრთხოების მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში.